მხოლოდ პურის ამარა ვერ იცხოვრებ

ეკონომიკური და დისკურსული ასპექტების განუყოფლობა პოლონეთის ნეოლიბერალურ და პოპულისტურ რეჟიმებში

ავტორი: მიხალ ბუხოვსკი
მთარგმელი: თეკლა ზუხმა

წინამდებარე თავში განვიხილავ ცენტრალური ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას, რომელსაც სათავე ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებსა და სოციალისტურ საზოგადოებებში 1989 წლიდან დაედო. ამ პროცესში ცივი ომის გლობალური წესრიგი ახალი, ომისშემდგომი რეჟიმით შეიცვალა (Chari and Verdery 2009).ეს პროცესი ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში მრავალგანზომილებიან და ერთმანეთთან დაკავშირებულ გადაწყობათა სერიებს გულისხმობდა. ეს გადაწყობები კი ფუნდამენტურად ებმოდნენ კოლექტიურ ცნობიერებაში დამკვიდრებულ სურათ-ხატებს, რომლებიც თავის მხრივ საჯარო დისკურსის ფორმირებასა და კონკრეტული ნარატივების ჰეგემონურად ჩამოყალიბებაში იღებდნენ მონაწილეობას. სხვა სიტყვებით, ვეცდები, დავამტკიცო, რომ 1989 წელს დაწყებული ტრანსფორმაციის პროცესები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებებს ეფუძნებოდნენ, თუმცაღა მიზანშეწონილი არც კულტურულ ასპექტთა როლის უგულვებელყოფა იქნებოდა. მატერიალური და მენტალური ასპექტების კომბინირება გვეხმარება, გავიგოთ, თუ რატომ მიემხრო ხალხის უმრავლესობა ზოგიერთ პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებაში მემარჯვენე პოპულიზმსა და ნაციონალიზმს. იმისათვის, რომ ჩემი არგუმენტი უფრო დეტალურად წარმოვადგინო, პირველ რიგში შევეცდები მოვხაზო იმ კულტურული ჩარჩოს ზოგადი კონტურები, რომლის წიაღშიც, კონკრეტული სოციალური აქტორების მონაწილეობით, ტრანსფორმაციის ეს პროცესი მიმდინარეობდა. ამის შემდეგ შევეცდები ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაფუძნებული კონკრეტული მონაცემების დახმარებით ვაჩვენო, თუ რა აზრით აღმოჩნდა ეფექტური თავის დაღწევა კომუნისტური წყობის მძიმე ეკონომიკური შედეგებისაგან. დაბოლოს, შევეცდები ვაჩვენო მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც - პოსტ-სოციალისტური ეკონომიკების ზრდის მიუხედავად - პოპულიზმი და ნაციონალიზმი კვლავ დაუბრუნდნენ დღის წესრიგს. მიუხედავად იმისა, რომ აქ გამოთქმულ მოსაზრებათაგან ზოგიერთი შესაძლოა მთლიანად ცენტრალური ეროპის რეგიონისთვისაც იყოს რელევანტური, ძირითადად ყურადღებას მაინც პოლონეთის შემთხვევაზე გავამახვილებ.

(პოსტ)კომუნიზმი და (პოსტ)სოციალიზმი

კომუნიზმი იყო ავტორიტარული *პოლიტიკური რეჟიმი*, სადაც, პრინციპში, ერთი პარტიის მონოპოლია დოგმის ხარისხამდე იყო აყვანილი. *სოციალიზმი* კი *სოციო-ეკონომიკური და*

კულტურული სისტემა გახლდათ, სადაც *კომუნისტური ხელისუფლებების მიერ მართული საზოგადოებები* ცხოვრობდნენ და ფუნქციონირებდნენ[1]. ეს კონცეპტუალური განსხვავება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური რეჟიმი საზოგადოებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა, ან იმას, რომ პოლიტიკური და სოციალური აქტორები ინტეგრირებული მთელის ნაწილებს არ წარმოადგენდნენ. არაეფექტური, ზოგიერთ შემთხვევაში პერმანენტულ დეფიციტში მყოფი ეკონომიკით (Verdery 1996: 19–37) და "სოციალისტურ დემოკრატიად"[2] წოდებული ხისტი პოლიტიკური რეჟიმით დაღლილი და უკმაყოფილო, აჯანყებული მოსახლეობების წნეხქვეშ ცენტრალურ ევროპაში პოლიტიკური ალიანსები დაშლასა და ხელახალი კონფიგურაციით ფორმირებას ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში ახერხებდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ ზიგმუნტ ბაუმანის მიერ შემოთავაზებულ "პოლიტიკურ" და "სისტემურ" რევოლუციათა კონცეპტუალურ დიფერენციაციას, სადაც პირველი პოლიტიკური ფორმაციის ცვლილებას გულისხმობს, ხოლო მეორე პოლიტიკური ,ეკონომიკური და სოციალური წესრიგის მმართველობის ფუნდამენტურ ცვლილებას (Bauman 1992: 156–57), 1990-იანი წლები რეტროსპექტივაში სისტემურ რევოლუციად მოჩანს. შედეგად მივიღეთ *პოსტ-კომუნისტური პოლიტიკური რეჟიმი*, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს ემყარებოდა და - ანალოგიური პრინციპით - აღმოცენდა კომპლექსური სოციო-ეკონომიკური და კულტურული სისტემა, რომელსაც *პოსტ-სოციალიზმს* ვუწოდებთ.

გლობალურ მასშტაბზე განვრცობილი ისტორიული კონტინგენტურობა, რომელმაც ცივი ომი დაასრულა, კაპიტალიზმის სპეციფიკურ ვარიანტად, ნეოლიბერალიზმად გარდაისახა. მას გაერთიანებულ სამეფოში ტეტჩერიზმის, შეერთებულ შტატებში კი რეიგანომიკის სახელებით ვიცნობთ. ეს ახალი რეჟიმი ყოფილი კომუნისტური ბლოკის ტერიტორიაზე 1989 წლიდან მკვიდრდებოდა. როგორც ჯოზეფ სტიგლიცი ამტკიცებს, "ნეოლიბერალური დოქტრინის ზენიტად პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში სავარაუდოდ ბერლინის კედლის დანგრევის შემდგომი 1990-97 წლები უნდა მივიჩნიოთ"(2001: xv). პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში ნეოლიბერალიზმის იმპლემენტაცია ე.წ. *შოკური თერაპიის*[3] სახით მოგვევლინა და პოლონეთში სხვებთან ერთად მას ლეშეკ ბალცეროვიჩი უჭერდა[4]. ამ

---

[1] ამ კონცეპტუალური დაყოფის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Buchowski (2017:26)

[2] ამ პოლიტიკური სისტემის შესახებ ხალხის წარმოდგენებს პოპულარული ხუმრობა ასახავს:
- რა განსხვავებაა "დემოკრატიასა" და "სოციალისტურ დემოკრატიას" შორის?
- იგივე, რაც სკამსა და ელექტროსკამს შორის!

[3] ახალი შეთანხმების მომხრეები უარყოფდნენ, რომ ეს შოკური თერაპია იყო. იანუშ ლევანდოვსკი, პოლონეთის პარლამენტის ყოფილი წევრი, პრივატიზაციის ყოფილი მინისტრი და ამჟამად ევროპარლამენტის წევრი, ცოტა ხნის წინ აცხადებდა: "არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც რეფორმა შოკურ ხასიათს ატარებდა, რადგან პროცესში, რეფორმატორების სახით, ჩართული იყო სახელმწიფოს ხილული ხელიც."

[4] ბალცეროვიჩმა შოკური თერაპიის გეგმის განსახორციელებლად ანალიტიკური ცენტრი ჩამოაყალიბა, სადაც ჯეფრი საქსი, სტანისლავ გომულკა და იან-ვინსენტ როსტოვსკი გაწევრიანდნენ. ორი მათგანი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში მუშაობდა, სადაც აგრეთვე ასწავლიდნენ რობინსი დ ფონ

ეკონომიკურ პროექტს არაერთი დასავლური მთავრობა და საერთაშორისო ინსტიტუცია აფინანსებდა, მაგალითისთვის მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, პარიზის კლუბი და ლონდონის კლუბი, მოგვიანებით კი ევროკავშირი. პროცესი ღრმად კომპლექსურად და უკიდურეს წვრილმანებამდე დოკუმენტირებულად მიმდინარეობდა, მათ შორის ანთროპოლიგიურ ლიტერატურაშიც (მაგ. Buchowski et al. 1999; Berdahl et al. 2000; Burawoy and Verdery 2000; Hann 2002; Kürti and Skalník 2009)[5]. დედაქალაქები წალეკეს უცხოელმა ექსპერტებმა, რომლებიც ადგილობრივ მთავრობებს კომპანიების მართვაში დახმარებას ისე სთავაზობდნენ, რომ ადგილობრივი სპეციფიკის შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ. და რადგან როგორც წესი ამ ექსპერტებს სასტუმროს მისადგომების მიღრმა ბევრი არაფერი უნახავთ, მათ მეტსახელად "მერიოტის ბრიგადები" შეარქვეს (Wedel 1998). სიმპტომურია ისიც, რომ ეს მეტსახელი ძვირადღირებული სასტუმროების ქსელს უკავშირდება.

პოსტ-კომუნისტური "ახალი შეთანხმების" ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელსაც უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებშიც იზიარებდნენ, უწინ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიების არნახული ტემპებით პრივატიზაცია გახლდათ. დევიდ ჰარვი (2004) ამ პროცესს უწოდებს "აკუმულაციას ჩამორთმევით", სადაც დოვლათი, საჯარო საკუთრების პრივატიზაციის მეშვეობით, კაპიტალისტთა მცირერიცხვოვანი ჯგუფის ხელში იყრის თავს. საზოგადოების თვალში - და ამასვე მოწმობს არაერთი სასამართლო დოკუმენტიც - ეს პროცესი ნაწილობრივ კორუმპირებული და ზოგ შემთხვევაში კრიმინალური ელიტების ხელით წარიმართა. ეკონომიკური სისტემის რესტრუქტურიზაციამ მასშტაბური ოციალური ცვლილებები გამოიწვია. შეჩერდა რამდენიმე ათასი ინდუსტრიული ფაბრიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რამაც შესაბამისად უმუშევრობის, კომუნისტური წარსულისთვის გაუგონარი ფენომენის, დრამატული ზრდა გამოიწვია. ეს ინდუსტრიული რევოლუცია იმდენად ნაჩქარევად და მასშტაბურად წარიმართა, რომ 2000-იანი წლების დამდეგისთვის პოლონეთის ზრდასრული მოსახლეობის მეოთხედი უმუშევარი იყო. ქვეყნის ზოგიერთ გაუკაცრიელებულ რეგიონში უმუშევრობა 50%-აც კი აღწევდა. ამის თანადროულად მიმდინარეობდა სასოფლო სამეურნეო მიწების გაკერძოვების პროცესი. მიუხედავად იმისა,

---

ჰაიეკი.როსტოვსკი და გომულკა მომდევნო მთავრობების ეკონომიკურ მრჩევლებადაც მოგვევლინენ. პირველი მათგანი ფისკალურად ხისტი ფინანსთა მინისტრი გახდა უკანასკნელ სამთავრობო კაბინეტში. ორივეს ახასიათებდნენ პოლიტიკურ ლიბერალებად და ეკონომიკურ ნეოლიბერალებად, იქამდე, სანამ იაროსლავ კაჩინსკის კანონისა და სამართლიანობის პარტია 2015 წლის არჩევნებში გაიმარჯვებდა. პარტიამ კეთილდღეობის რამდენიმე პროგრამა დანერგა, მათ შორის წამყვანი პროექტი სახელწოდებით 500+ რომელიც 500 ზლოტის (დაახლოებით 115 ევროს) ყოველთვიურ დახმარებას ითვალისწინებდა 18 წლამდე ბავშვებისთის. ყოფილმა ლიდერებმა არ დააყოვნეს და პროექტი ეკონომიკურად დესტრუქციული პოპულისტური დღის წესრიგის ნაწილად მონათლეს. თუმცა, ამ ფონზე, 4 წლის განმავლობაში, COVID 19-ის პანდემიის დაწყებამდე, ეკონომიკური მაჩვენებლები არ გაუარესებულა.

[5] ამ საკითხზე დაწყვრილებითი ანთროპოლოგიური კვლევებისთვის იხ. Brandstädter (2007); Buyangelderiyn (2008); Horschelmann and Stenning (2008); Buchowski (2012).

რომ პოლონეთში ამ სექტორში პრივატიზაცია დამუშავებადი მიწის მხოლოდ მეხუთედზე გავრცელდა (იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სოციალისტურ პერიოდში მიწის 80% კერძო საკუთრებას წარმოადგენდა), ეს მონაცემი მაინც უზარმაზარ მასშტაბს გულისხმობს, რომელიც 4 მილიონ ჰექტარზე მეტია. ქვეყანაში მომუშავე ორი მილიონ ფერმერს ახალი თავსატეხი გაუჩნდა საბანკო სესხებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთებისა და ფასების ფლუქტუაციის სახით. 1993 წელის ლამის ერთ ღამეში დაშლილმა სახელმწიფო ფერმებმა 200 ათასი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშა უმუშევრად და უპერსპექტივოდ დატოვა. ზოგიერთ გაჩანაგებულ რურალურ ტერიტორიებზე ადამიანები თავს ტყეში სოკოებისა და კენკრის შეგროვებითა და გზაზე ჩამომავალი მგზავრებისთვის მიყიდვით ირჩენდნენ, თითქოს ქვეყანა შემგროვებლური ტიპის ეკონომიკას დაბრუნებოდა.

ამრიგად, საზოგადოებრივ ჯგუფებში გაბატონებული სოციალური უკმაყოფილება დიდ ქალაქებში უწინ მოძრაობა "სოლიდარობის" სიმაგრეების - უზარმაზარი ინდუსტრიული ფაბრიკა-ქარხნების - დახურვით გამოწვეული მასობრივი უმუშევრობის შედეგს, ხოლო პატარა ქალაქებში გამეფებული უიმედობა ათწლეულების მანძილზე გამართულად მომუშავე ადგილობრივი ინდუსტრიების დახურვისა და სოფლად მომუშავე ფერმერებისა და ფიზიკური სამუშაოთი დაკავებული მუშებისთვის შექმნილი გაუსაძლისი პირობების რეზულტატს წარმოადგენდა. ცხოვრების ასეთ უცაბედ არევას ბევრი აპროტესტებდა (იხ. Ekiert and Kubik 1999), მაგრამ ეს პროტესტი ფრაგმენტირდა, გაიფანტა და ჩახშობილ იქნა. რეფორმას მხარი პროფესიული კავშირების ლიდერებმაც კი დაუჭირეს. როგორც იანუშ სტაინჰოფი, ყოფილი სამთავრობო კაბინეტის წევრი, აღიარებს, "უნდა გავიაზროთ, რომ იმ დროს "სოლიდარობა", როგორც სოციალური და პროფკავშირული მოძრაობა… რეფორმებს მხარს უჭერდა. ამავე დროს ყველა აცნობიერებდა პასუხისმგებლობასა და აუცილებლობას, რომელიც ამ საზოგადოებისათვის სადავო გადაწყვეტილებების მიღება ახლდა თან" (Sandecki 2020).

ამ რეფორმათა მალეგიტიმიზირებელი დისკურსების ფორმირებამ და მიმოქცევამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა შოკური თერაპიის შესაძლოობა. თუმცა, იმის მტკიცება, რომ სოციალურ პროცესებს მხოლოდ დისკურსები წარმართავენ კულტურალისტურ ახსნათა პრივილეგირებას გულისხმობს, რასაც არ ვეთანხმები. ზოგადად, ჩემი მიდგომა ნეოლიბერალურ რეფორმათა იმპლემენტაციისა და წინააღმდეგობების მიზეზთა ძიებისას გლობალიზაციის პერსპექტივას ეყრდნობა. ცენტრალურ ევროპაში ეკონომიკურმა ნეოლიბერალიზმმა[6] რეგიონი ნახევარპერიფერიად გადააქცია. (Shields 2009). ამას კი თავისი

[6] ნეოლობერალიზმი გულისხმობს ისეთ ურთიერთდაკავშირებულ და საზოგადოდ ცნობილ პოლიტიკებს როგორებიცაა ეკონომიკური ლიბერალიზაცია (რაც სოციალური კეთილდღეობის სეგმენტში ქამრების შემოჭერის პოლიტიკის გატარებას გულისხმობს), ბაზრების დერეგულაცია, გლობალიზაცია და კაპიტალისა და პროდუქციის (ისევე როგორც პროფესიონალების) თავისუფალი მიმოქცევა და - რაც პოსტ-სოციალისტურ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია - (რე-)პრივატიზაცია. (იხ.Springer, Birch and MacLeavy 2016: 2).

შედეგები ჰქონდა მოქმედ კლასობრივ ურთიერთმიმართებებზე. (Buchowski 2017). ჩემი მიდგომა "რელაციონალურ რეალიზმს" კვეთს, რომელიც "სიტუირებულ სოციალურ მექანიზმებსა და კაპიტალის, შრომის, სახელმწიფოებისა და სოციალური რეპროდუქციის დროსივრცულ წყებებზე ამახვილებს ყურადღებას" (Kalb 218:205). ვთვლი, რომ ინტერპრეტაციული ჩარჩო სოციალური ხატების, პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიებისა და პრაქტიკების ფორმირების პროცესში საჯარო დისკურსთა როლს არა უბრალოდ მხედველობაში უნდა იღებდეს, არამედ ხაზგამით აღნიშნავდეს. დისკურსები გლობალური და ლოკალური კაპიტალის, მათი მფლობელების, დოვლათისა და რესურსების განმკარგველებისა და ადგილობრივი კომპრადორების იერარქიულ ურთიერთმიმართებათა ჩამოყალიბებაში ჩაუნაცვლებელ როლს თამაშობენ. ისინი მონაწილეობას იღებენ ბრძოლებში დაპირისპირებულ კლასებს შორის, სადაც ინტერესთა რეალიზაცია მიმდინარეობს და აგრეთვე პოლიტიკურ კლასებსა და სახელმწიფოს შორის კონკურენციაშიც ინვესტიციებთან, წარმოებისა და მოხმარების კონტროლთან, კაპიტალისა და შრომის ნაკადებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მოსახლეობის წარმოდგენებისა და - ყოველ შემთხვევაში ლიბერალურ დემოკრატიაში - ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვება შეძლონ, დომინანტური კლასები, რომელთა ქმედებები იმ წესებს ემორჩილება, რომელთა შესახებაც ანტონიო გრამში საუბრობდა (1994), დისკურსების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში ერთვებიან - დისკურსებისა, რომლებიც შემდგომ ჰეგემონურები ხდებიან. ეს იმას გულისხმობს, რომ რიგი მსოფლმხედველობები, სურათ-ხატები "საგანთა ბუნებრივ წესრიგზე", ძალაუფლება, იერარქია და სოციალური ურთიერთობები კოლექტიურ ცნობიერებაზე დომინირებენ. მიუხედავად იმისა, კონტრ-დისკურსები გამუდმებით იჩენდნენ თავს, ნეოლიბერალურ დისკურსთან შედარებით ისინი მეტ-ნაკლებად მაინც იჩრდილებოდნენ. ამ უკანასკნელის განმტკიცების საქმეში აკადემიიდანაც ბევრი ჩაერთო - არა მხოლოდ ეკონომისტები, არამედ პოლიტიკის მეცნიერები, სოციოლოგები და ნეოლიბერალიზმის სხვა ინტელექტუალი კომპრადორები.

როგორ გახდა შესაძლებელი ნეოლიბერალური დისკურსების ასეთი აღზევება და გავლენის ზრდა? აქ შეგვიძლია ყურადღება ორ ძირითად მიზეზზე გავამახვილოთ. პირველი - არსებობს *იდეოლოგიური* მიზეზი. ანტი-კომუნისტური განწყობებით მოტივირებულმა გადამწყვეტმა უმრავლესობამ პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში წარსულის უარყოფა და უზრუნველყოფილი მომავლის დაპირების დაჯერება არჩია. "დავეწიოთ დასავლეთს" რეფორმათა ერთ-ერთი მამოძრავებელი იმპულსი იყო. ესენციალიზებული "დასავლეთის" ცოდნა ტიპური გახლდათ მათთვის, ვისაც "დასავლეთში" არასდროს ეცხოვრა. ის წარმოადგენდა მითს დასავლური ცხოვრების სტილსა და ცხოვრების მაღალ სტანდარტზე. რეფორმატორებმა რჩევები ნეოლიბერალ ეკონომისტთა რანგებიდან შერჩეული ექსპერტებისგან მიიღეს. ქმედებები და გადაწყვეტილებები კაპიტალიზმის მყისიერი მშენებლობის მიზანს ემსახურებოდა ახალი, მარჯვე, ანტრეპრენიორული სულისკვეთებით გაჯერებული, მობილური სუბიექტებით, რომლებიც ერთ ადგილზე გაჩერებულ "სოციალისტ დინოზავრებს" შეუპირისპირეს. დოვლათი მათ ხელში აღმოჩნდებოდა, ვისაც მტკიცედ

სურდა, გამხდარიყო საშუალო კლასის ნაწილი. საბოლოო ანგარიშით, ეს გადაწყვეტილებები და ქმედებები კომუნიზმთან გამოთხოვებისა და პრივილეგირებულ დასავლურ კლუბში გაწევრიანების სურვილს ემყარებოდნენ.

მეორე მიზეზი უფრო *თეორიულია*. "ნეოლიბერალური პროგრამა მიდრეკილია ეკონომიკური სისტემა თეორიულ აღწერას დააშენოს - სხვა სიტყვებით ის წარმოადგენს ერთგვარ ლოგიკის მანქანას, რომელიც თავს წარმოაჩენს ეკონომიკურ აგენტთა მოძრაობაში მომყვან შეზღუდვათა ჯაჭვის სახით". (Bourdieu 1998: 96). სხაგვარად რომ ვთქვათ, ეკონომიკური პრაქტიკები და მათი განმარტებები, ან სულაც სოციალური სინამდვილის მატერიალური და მენტალური ასპექტები აყალიბებენ მჭიდროდ ურთიერთგადაჯაჭვულ მთელს, რომლის ეჭვქვეშ დაყენება არც ისე ადვილია. ამ მანქანის გაგრძელებას - უფრო სწორად მის განუყოფელ ელემენტს - წარმოადგენენ დისკურსები, რომლებიც ეკონომიკურ გარდაქმნათა თანმდევი სოციალური ძვრების სანქციონირებას ახდენდნენ. ამ პირობებში პოსტ-კომუნისტი ობლების, წარსულის ჩონჩხების, "ლუზერების", შეცვლილ გარემოებებთან ვერადაპტირებულებისა და მათ საპირწონედ "ევროპული მოდერნულობისა" და "კაპიტალისტურ ნორმალურობის" გზაზე შემდგარი კლასების ფორმირება აუცილებლობას წარმოადგენდა. "ტრანზიციაში დაკარგულ" ადამიანებს დომინანტურ დისკურსებში არა ნეოლიბერალური რეფორმების შედეგად მიღებულ სტრუქტურულ ჩარჩოში გამომწყვდეულებად, არამედ თავიანთივე მენტალური და კულტურული მანკიერებების მსხვერპლებად წარმოაჩენდნენ. როგორც ჩანს, "ლუზერებმა"ვერაფრით აუწყვეს ფეხი ახალ, "ბუნებრივ" სოციოეკონომიკურ და პოლიტიკურ წესრიგს, რათა ბურდიეს მიერ აღწერილ ლოგიკურ მანქანაში თავიანთი ფუნქცია აღმოეჩინათ.

შთამბეჭდავი ეკონომიკური წინსვლა: ზოგიერთი მონაცემი

ტრანსფორმაციის პირველმა რთულმა წლებმა ჩაიარა და რესტრუქტურირებული ეკონომიკა კვლავ გამოცოცხლდა. 2004 წელს ევროკავშირში შესვლამ განვითარების დამატებითი იმპულსები გააჩინა. მართლაც, ეკონომიკურ ტერმინებში გამოსახული შედეგები ცუდად არ გამოიყურება. ქვემოთ რამდენიმე მონაცემს მოვიყვან.

თუ ნულოვან წერტილად 1989 წელს ავიღებთ (=100), მთლიანი შიდა პროდუქტი, მოხმარება და აკუმულაცია 2013 წლის მონაცემებით პოლონეთში თითქმის გაორმაგდა. 1996 წლიდან 2016 წლამდე მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 119%-ს შეადგენდა, ხოლოდ ყოველწლიური ზრდა - 4%-ს. 1994 წლიდან შინამეურნეობის სექტორში მთლიანი ერთჯერადი შემოსავალი გაიზარდა და 2013 წლისთვის 1989 წლის მაჩვენებლის 160%-ს გაუტოლდა, მომდევნო წელს კი ერთეულ შინამეურნეობაზე 18 000 აშშ დოლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში ყოველთვიური ხელფასის მაჩვენებელი 130%-ით გაიზარდა. საყოფაცხოვრებო აქტივების საშუალო ღირებულება 1990-იანი წლების შუა პერიოდთან შედარებით გაორმაგდა და დაახლოებით 15 000 აშშ დოლარი შეადგინა. მსყიდველობითუნარიანობის თვალსაზრისით ყოველწლიური საშუალო ხელფასი 16 000 აშშ დოლარიდან (1996) 24 000 აშშ

დოლარამდე (2015) გაიზარდა. იმავე პერიოდშივე გაიზარდა რეალური ყოველწლიური ხელფასი, დაახლოებით 59%-ით. პოპულარული მოსაზრების წინააღმდეგ, 2004-2013 წლებში შემოსავლის უთანასწორობა შემცირდა და ჯინის კოეფიციენტი 37.6%-იდან 30%-მდე შემცირდა. სოფლის მეურნეობის სექტორის მთლიანი წარმოება 130%-ით გაიზარდა, ხოლო ინდუსტრიული, მშენებლობისა და საამწყობო პროდუქცია გასამმაგდა. (იხ. ყველა ეს მონაცემი *Polska* 2014, 2016).

მსგავსი წინსვლა აღინიშნება სოციალური კეთილდღეობის სექტორშიც: სიცოცხლის ხანგრძლივობა 5 წელზე მეტით გაიზარდა - 1996 წელს ეს მაჩვენებელი 72.2-ს, 2014 წლისთვის კი 77.3-ს შეადგენდა. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის (ე.ი. მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელთა ასაკი 19-დან 24 წლამდეა) მაჩვენებელი 90-იანებში 10% გახლდათ. დღეს ეს მაჩვენებელი 50%-ს უტოლდება. პოლონეთი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) ჯგუფის წევრია, რომელსაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვს 25-64 წლის ადამიანებს შორის პროფესიული განათლების თვალსაზრისით. (90.8%). 1996-2015 წლებში ზრდასრულ მოსახლეობაში უმუშევრობის დონე 4.5%-ით გაიზარდა, თუმცა ეს მაჩვენებელი OECD ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო. პირველი ათწლეულისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 20%-ს აღემატებოდა, 2015 წლისთვის 7.5%-ს წარმოადგენდა, ხოლოდ 2019 წლის ოქტომბრისთის - მხოლოდ 5%-ს.

ეს შთამბეჭდავი ეკონომიკური შედეგები კომპარატიულ პერსპექტივაში უნდა განვიხილოთ. მოხმარებისა ცხოვრების სტილის ასპირაციათა დაკმაყოფილება სხვა სოციალურ ჯგუფებთან და ქვეყნებთან შედარებით უნდა იქნეს დანახული. მაგალითისთის, პოლონეთში საშუალო ხელფასი OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი - 41 000 აშშ დოლარი გახლდათ. ხელფასების ზრდასთან ერთად იზრდებოდა სამომხმარებლო საგნებისა და სერვისების ფასებიც - 1996 წლისთვის ამ ზრდამ 157%-ს მიაღწია. ამავე პერიოდში OECD-ის სხვა ქვეყნებში ის "მხოლოდ" 73%-ით გაიზარდა.[7] შობადობის მაჩვენებელი პოლონეთში 1.59-დან (1996) 1.29-მდე (2014) შემირდა, რაც, რასაკვირველია თაბათა ნორმალური კვლავწარმოების გარანტიას ვერ იძლეოდა (*Polska 216).* უმუშევრობის შემცირება ნაწილობრივ ძლიერი ემიგრაციის ხარჯზე მოხერხდა. 2015 წლის მიწურულისთვის პოლონეთი დაახლოებით 2 397 000-მა მოქალაქემ დატოვა და სხვა ქვეყნებში მიიღო დროებითი ან პერმანენტული ცხოვრებისა და მუშაობის უფლება. მათი უმრავლესობა - დაახლოებით 2 098 000 - ევროპაში ემიგრირდა. ემიგრანტთა უმრავლესობა, დაახლოებით 1 983 00 პოლონეთის მოქალაქე, ევროკავშირის წევრ

[7] სოციალური უთანასწორობის ინდექსი, რომელიც ციფრებში ასახავს პროდუქციის არათანაბარ განაწილებას მოცემულ საზოგადოებაში; რაც უფრო დაბალია მაჩვენებელი, მით უფრო ნაკლებად უთანასწორობა შემოსავალი. 0% აბსოლუტურ თანასწორობას აღნიშნავს. 100% კი იგულისხმებდა, რომ საზოგადოების მთელი დოვლათი ერთი კონკრეტული ოჯახის ხელშია მოქცეული.

ქვეყნებში აღმოჩნდა (Notka informacyjna 2016: 2). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის 6% ემიგრაციაში წავიდა.

ეს პოზიტიური სტატისტიკური მონაცემები წინააღმდეგობაში მოდის ნეოლიბერალიზმთან დაკავშირებულ მზარდ უკმაყოფილებასთან. ეკონომიკურად წარმატებულმა რეფორმებმა ნამდვილად გააუმჯობესა ცხოვრების სტანდარტი, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ კომუნისტური წარსულისა და 90-იანების რთული პერიოდის მაჩვენებლებს. აქედან კითხვა: რატომ გამოთქვამდა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უკმაყოფილებას და ხმას აძლევდა ძალებს, რომლებიც ნეოლიბერალურ ეკონომიკურ სისტემასა და მასში ნაგულისხმევი ღირებულებებით ნაკარნახევ სოციალურ იერარქიებს აკრიტიკებდნენ? მატერიალური წინსვლის სხვა სოციალურ ჯგუფებთან და ქვეყნებთან შედარება მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის იმ ნეგატიურ კრიტიკულ მიმართებას ნეოლიბერალურ რეფორმებთან, რომლებიც პოლონეთის არაერთ სოციალურ სტრატუმში გამოიხატა.

სოციალური იერარქია, იდენტობა და "პოპულიზმი".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგანთა და სუბიექტთა ახალდაფუძნებულ ნეოლიბერალურ წესრიგში სოციალურმა იერარქიამ ცვლილება განიცადა. მშრომელები, გლეხები, მცირე ფერმერები კომუნისტური ინტელიგენციის "უიმედო" სექტორები, რომელთა "ექსპერტთა კლასად" თუ მეწარმეებად გარდაქმნა ვერ მოხერხდა, ლეგენდარულ *ჰომო სოვიეტიკუსებად* - პასიურ, ზარმაც, უპასუხისმგებლო, შურიან, მომთხოვნ პოსტ-საბჭოთა მენტალიტეტის მატარებელ სუბიექტებად შეირაცხნენ. (Sztompka 1993). ეს ტერმინი სალანძრავ სიტყვად იქცა, რომელსაც უწოდებდნენ მათ, ვისაც დამაცხებულად თვლიდნენ. ამავდროულად, ტერმინმა ანალიტიკური კატეგორიის სტატუსი შეიძინა და ახლა მას უკვე ფილოსოფოები, პოლიტიკის მეცნიერები და სოციოლოგები იყენებდნენ (Buchowski 2006). სოციალისტური მენტალიტეტის მატარებელთ აღარ შესწევდათ ძალა, გატოლებოდნენ ახალ თვითშერაცხულ ელიტებს, რომლებიც სოციალური კიბის ბოლო საფეხურებზე მოკალათდნენ. ძველ ელიტებს ძირს უთხრიდნენ ერთი მხრივ ვესტერნიზებული და ჰომო სოვიეტიკუსის სინდრომისგან განკურნებული ინტელექტუალები, მეორე მხრივ კი ახალი სოციალური და ეკონომიკური "ნაღები საზოგადოება" - პრო-დასავლური პოლიტიკოსები და გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოვებული ანტრეპრენიორები.

დროთა განმავლობაში - ვგულისხმობ ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციასა და თაობათა ცვლილებას - ამ კატეგორიამ ამხსნელი ძალა დაკარგა და ადამიანთა წარმოსახვას საინტერესოს ვეღარაფერს ეუბნებოდა. იმისათვის, რომ მიმდინარე პროცესები, და სოციალური ურთიერთობები ახსნილიყო ან სულაც საზოგადოებრივი ჯგუფების ექკლუზია გამართლებულიყო "ცივილიზაციურად ჭეშმარიტი" მეინსტრიმიდან, ახალი კატეგორიების დამკვიდრება გახდა საჭირო. სოციალური უთანასწორობის ამხსნელი კრიტერიუმები,

რომლებიც უწინ “პოტ-საბჭოთა მენტალიტეტის” სურათ-ხატებს ეფუძნებოდნენ, ახლა კულტურულ ნიშნებად მოგვევლინენ, რომელთა მეშვეობითაც კლასების ელიტებად და პლებსად დაყოფა ხდებოდა შესაძლებელი. ამ პროცესში, ძველი, შეურაცხყოფის შემცველი კატეგორიების ახალ ყალიბებში გადადნობა მოხერხდა. დასავლეთთან შესაბამისობა, რომელიც ლიბერალური ცხოვრების წესსა და კოსმოპოლიტურ კულტურულ ღირებულებებს გულისხმობდა, კლასიფიკაციის კრიტერიუმად მოგვევლინა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ე.წ. *mohair berets*-ის კატეგორიამ. ტერმინი გულისხმობს თივთივით ნაქსოვ თავშალს, რომელსაც ხანდაზმული, ღრმად რელიგიური ქალბატონები ატარებენ. ის აგრეთვე აღნიშნავს საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებიც რედემპციონისტ მამა ტადეუშ რიძიკის (2015 წელს მთავრობაში მოსულ მოქმედ მმართველ პარტიასთან, “კანონისა და სამართლიანობის პარტიასთან” მჭიდროდ ასოცირებული რელიგიური ფიგურის) მიერ დაარსებულ კათოლიკე რადიოსადგურ - ამჟამად უმაღლესი განათლების ინსტიტუციის, რელიგიური ცენტრისა და მედია კონგლომერატის - Radio Maryja-სთან ასოცირდებოდნენ. რიძიკი ცნობილია მემარჯვენე რიტორიკითა და მორალურ საკითხებზე ანტი-ევროპული, კონსერვატორული, კათოლიკე შეხედულებებით. წლების შემდეგ “mohair berets” ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში განაწილდა. პირველი მათგანია “Janusze i Grażyny“ (პირდაპირი მნიშვნელობით იანუშები და გრაციები, მეტაფორულად “ბილები და სიუზები”). ამ ახალ დანაწილებაში ხანდაზმულებსა (ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს კომუნისტური წარსული) და ახალგაზრდებს შორის არსებული დისტანცია კიდევ უფრო გაიზარდა. “Janusze i Grażyny“ აღწერს გაღარიბებულ საშუალო კლასს, რომელიც ჯერ კიდევ იზიარებს იმ კულტურულ ჩვევებს, რომელთაც ადგილი კომუნისტურ წარსულში მიუჩინეს. ტერმინის მეორე, შედარებით ახალი ინკარნაცია ახალმა საშუალო კლასმა და ახალგაზრდა თაობამ შექმნა, ვისაც ერთგვარი უპირატესობის განცდა ეუფლებოდა (წარმოსახვით) ნაკლებადკულტურულ ჯგუფთან და ამ უკანასკნელს Sebas and Karynas უწოდა (პირდაპირი მნიშვნელობით სებასტიანები და კარინები, მეტაფორულად - “ჩადები” და “სტეისიები”). ტერმინი გულისხმობს საშუალო კლასის შედარებით ღარიბ წარმომადგენლებს, ე.წ. *Parvenue*-ს, მეტ-ნაკლებად ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც უხეშად იქცევიან, ე.წ. “სპორტულებს” იცვამენ და მათივე მსგავს ადამიანებთან ერთად ისვენებენ კურორტებზე, სადაც დროს ძირითადად სასტუმროს აუზზე ატარებენ, ალკოჰოლური სასმელის დიდი ოდენობით მიღებაში. ეს თვითნომინირებული ელიტური ჯგუფები, რომლებიც ერთსა და იმავე კულტურულ ღირებულებებს იზიარებენ, სხვებს უგემოვნოდ თვლიან. გამოგონილი უკულტურო ჯგუფები დაცინვის ობიექტები ხდებიან. “თანამედროვე”, კოსმოპოლიტურ ელიტებსა და “ჩამორჩენილი”, “მრევლი” ანდერკლასის ოპოზიცია - მსგავსად უწინ დამკვიდრებული ოპოზიციისა “პროგრესულ ნეოლიბერალებსა” და “სოციალიზმის ლოიალურ დინოზავრებს” შორი - ფორმირებასა და კვლავწარმოების უწყვეტ პროცესშია ჩართული. მექანიზმები ერთმანეთის მსგავსია: განსხვავება მხოლოდ მაორგანიზებელ იდიომებსა და შინაარსებშია, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიცვალა. ასეა თუ ისე, ეს სხვა არაფერია, თუ არა ახლებურად არტიკულირებული *კლასიზმი.*

დომინანტური და დაქვმდებარებული კლასების ურთიერთმიმართება დიალექტიკურია. დისკრიმინაციაზე დაფუძნებული პრაქტიკების გარდაუვალი შედეგი წინააღმდეგობაა იმ სოციალური კლასების მხრიდან, რომელთაც დაქვემდებარებულის ადგილი მიუჩინეს. შეიძლება ითქვას, რომ ვინც საჯარო დისკურსებს აკონტროლებს, ის საზოგადოებას თავს ახვევს მოსაზრებებს სუბალტერნად მონიშნულ ჯგუფებზე, რომლებიც შესაძლოა სულაც არ იზიარებდნენ ამგვარი ტიპის იერარქიას. დისკრედიტირებული კლასები სოციო-ეკონომიკურ დაქვემდებარებას წინააღმდეგობას უპირისპირებენ. ჩნდებიან პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც ჩაგრულთა ხმებს ავრცელებენ. პოლიტიკოსები ბრაზისა და უძლურობის განცდის ტრანსფორმაციაში უბრალო ფასილიტატორის ფუნქციას ასრულებენ. ისინი გაფანტული შფოთვების კოორდინირებასა და შედედებას ახერხებენ პოლიტიკურ აქტში და სუბალტერნებს, რომლებიც წარმოადგენენ "კლასს თავის თავში" აქცევენ "კლასად თავისთვის". ჰეგემონურ ნეოლიბერალურ და კოსმოპოლიტურ დისკურსებთან დაპირისპირებამ ზედაპირზე პოლონეთში 2015 წელს ამოაღწია - ეს ის დრო გახლდათ, როცა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგად ძალაუფლება მემარჯვენე პოლიტიკოსებმა ჩაიგდეს ხელში.

აბუჩად აგდებულთა აჯანყება

იგრძნეს რა ელიტები ქედმაღლობა და არაერთი სოციალური ჯგუფის გადაღლა უპატივცემულობის ორდეკადაინი დისკურსით, მემარჯვენე პოლიტიკოსებმა საზოგადოებას შესთავაზეს პოლიტიკური პროგრამა, რომელიც "მრევლის" იდენტობის, კულტურული ტრადიციებისა და მასთან დაკავშირებული ცხოვრების წესის გაკეთილშობილებასა და "ჩვეულებრივი ადამიანების" წარუმატებლობათა ელიტებისთვის გადაბრალებას ეფუძნებოდა. "ხალხის" "ელიტებთან" შეპირისპირება პოპულისტური იდეოლოგიის ფუნდამენტური მახასიათებელია, რომელსაც პოპულარულ სახელმძღვანელოებშიც კი ამოიკითხავთ. (იხ. Mudde and Rovira Kaltwasser 2017). პოლონეთში, ისევე როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში, ეს დაყოფა ერის კოჰერენტულობის იდეას, ჰომოგენური "ხალხის" - ამ შემთხვევაში კათოლიკე პოლონელი ერის, რომელსაც გამართლებულად აშინებს გარეგანი სამყარო, იმიგრანტები და მულტიკულტურალიზმი და ამავდროულად წარსულის ნოსტალგიითაა შეპყობილი - მითს შეუწყვილდა. ეს დიქოტომია აგრეთვე "ხალხის" სიბრძნის მითსა და კომპლექსური, გლობალიზებული სამყაროს შესახებ კონსპირაციის თეორიასაც ეფუძნება. მის მიხედვით ეს კონსპირაცია მარტივად უნდა აიხსნას და პირდაპირი, უკომპრომისო პოლიტიკის გატარებით დაიძლიოს, რამაც ქვეყანაში *კანონი და სამართალი* უნდა აღადგინოს. (იხ. Redgren 2017: 488-92). ეს უკანსკნელი - და ვფიქრობ, ეს შემთხვევითი სულაც არ არის, კაჩინსკის მემარჯვენე პარტიის სახელია.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ სიტუაცია დიამეტრულად შეიცვალა. ახალ დომინანტურ - ყოველ შემთხვევაში საჯარო მედიის თვალში - დისკურსებში უწინ შეურაცხყოფილი ჯგუფებს ამაყ და მტკიცე "სუვერენებად" მოიხსენიებენ. ანტი-ნეოლიბერალიზმი ითარგმნა სლოგანებში

ეკონომიკური აქტივების რენაციონალიზაციის შესახებ, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ოლიგარქების საკუთრებაშია. დამცინავი ტონით მოსაუბრე ელიტებს "ხალხის" სახელით კორუფციაში, ტრადიციული ქრისტიანული და პოლონური კულტურისთვის მიუღებელი გენდერის, აბორტისა და სქესის შესახებ ლიბერალური ღირებულებების პროპაგირებაში სდებენ ბრალს. მათ ზიზღით ეპყრობიან თავიანთი lewactwo-ს ("მემარცხენეობის") გამო (ეს ტერმინი სიტყვა lewicowy-სგან წარმოდგება და "მემარცხენეს" ნიშნავს). ზუსტად ისე, როგორც უწინ იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ტერმინებს ტრანსფორმაციის პროცესში დამარცხებულთა მიმართ ჯგუფები, რომლებიც საჯარო დისკურსს 2015 წლამდე აკონტროლებდნენ, დღეს უკვე მათ წარმოაჩენენ "აუტსაიდერებად", გადაფასებულ "სხვებად". დისკრიმინაციის ამ ორი ნარატიული სქემის - ჰომო სოვიეტიკუსისა და ჰომო კოსმოპოლიტიკუსის - შედარებას მივყავართ დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც "ჩვენი" და "სხვის" დაყოფა მოდერნიზაციისთვის საფრთხის შემცველი ან პროგრესული ცხოვრების სტილთან შეუსაბამო მენტალური და ქცევითი კატეგორიებიდან ინაცვლებს გახრწნილი დასავლური ღირებულებების ატრიბუტებისკენ, რომლებიც ერის არსებობას, მთლიანობასა და მორალურ შემართებას უქმნის საფრთხეს.[8]

არა მხოლოდ პურის ამარა

ამ თავში აღწერილ პროცესებს არაერთი ფაქტორი განაპირობებს - ფაქტორები, რომლებიც გლობალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე ოპერირებენ. ნეოლიბერალიზმი, როგორც თეორია და პრაქტიკა, შეგვიძლია მივიჩნიოთ ცენტრალურ ევროპასა და კონკრეტულად პოლონეთში პოპულისტური მოძრაობების აღზევების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად. (თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქმე გლობალურ ფენომენთან გვაქვს). ისტორიული კონიუქტურის გათვალისწინებით, რეგიონში დამყარდა ნეოლიბერალური ეკონომიკური პარადიგმა, სადაც ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმსა და გეგმიურ ეკონომიკაზე უარი ითქვა. პოლანი (2001) ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი ფუნდამენტურად წინააღმდეგობრივი ფენომენია. ბაზრის *უხილავი ხელის* მარეგულირებელი ძალა შეურიგებელ წინააღმდეგობაში მოდის *სოციალურ სამართლიანობასთან*, რადგან ეს უკანასკნელი პირველისთვის დამახასიათებელი სტიქიური მექანიზმებით ვერ მიიღწევა. ორმაგი მოძრაობის (Hann 2019a) პოლანისეულ თეორიაში "პოპულიზმი" ნეოლიბერალიზმთან დაპირისპირებულ კონტრ-მოძრაობადაა წარმოდგენილი. (Cayla 2019;

---

[8] ამ სექციაში ხაზგასმული რამდენიმე ინდიკატორი არსებითად მნიშვნელოვანია პოპულისტური იდეოლოგიისათვის. მაგალითისთვის: "ჰარმონიული და ჰომოგენური ხალხი", "წმინდა სამშობლოს" კონცეფცია, არსებული წესრიგით უკმაყოფილება, სადაც ადამიანებს მიწიდან ყრიან და აუცხოვებენ (-), ეს უკანასკნელნი კი "ფესვებთან", ინტეგრირებულდა კოჰერენტულ "თემთან" დაბრუნებაზე ოცნებობენ. პოპულისტები საუბრობენ "ხალხის სახელით" და "აწარმოებენ დუალიზმს, სადაც "ხალხი" დაპირისპირებულია "ელიტასთან", რომელიც კორუმპირებულია. (Rydgren 2017: 3-4). პოპულიზმის ამგვარი გაგება აგრეთვე ინფორმირებულია პოლონეთის მაგალითით, რომელიც ამ თავშია განხილული

Hann 2015, 2019b). რიტორიკის (ხანდახან პრაქტიკულ) დონეზე, პოპულიზმი ცდილობს, დოვლათი ერთეულებს გამოსტაცოს და ბევრს გაუნაწილოს.

მაგრამ ეს აბსტრაქტული კონცეფციები ვერაფრით ხსნიან, თუ რატომ თქვეს უარი ადამიანებმა სისტემაზე, რომლის პირობებშიც ნელა და არათანაბრად, მაგრამ მაინც შეუქცევადად - ყოველ შემთხვევაში წარსულთან შედარებით - მაინც უუმჯობესდებოდათ ცხოვრების სტანდარტი. ამ ფენომენის გასაგებად ზოგად სურათში კულტურული ფაქტორები უნდა შემოვიყვანოთ. პირველ რიგში, ჩნდება სხვა, როგორც სოციო-ეკონომიკური პროცესის განუყოფელი თანამონაწილე. ნეოლიბერალები დისკურსულად ქმნიან სხვას ნეგატიური მაორიენტალიზებელი დისკურსების მეშვეობით, ხშირად წარსულის ნაციონალისტური იდეების რეპატრიაციით. მეორე, როგორც სოციო-ეკონოიკური, ისე პოლიტიკური რეჟიმები - ნეოლიბერალიზმი და პოპულიზმი - თავიანთ თავში ატარებენ ეთიკურ ამბივალენტურობას. "რეალურად არსებული ნეოლიბერალიზმი" ორიენტირებული იყო ჰეგემონური დისკურსის დამკვიდრებასა და ეკონომიკის რადიკალურ რესტრუქტურირებაზე, რომელიც აწარმოებდა "ადამიანურ ნარჩენს" (Bauman 2004), თავის მხრივ ამ უკანასკნელის მოთვინიერების საჭიროებით. "რეალურად არსებული მემარჯვენე პოპულიზმები" ფოკუსირდებიან პოლიტიკურ სტრატეგიებზე, რომელთაც ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების ამოცანები დაუსახავთ მიზნად. ისინი ხშირად მოიაზრებენ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი "სხვის" ექკლუზიას, რასაც ერთი მხრივ ანტი-ელიტიზმის, მეორე მხრივ კი ქსენოფობიის გაღვივება მოსდევს. მესამე - და ეს ჩემი არგუმენტის უმთავრესი კომპონენტია - სოციო-ეკონომიკური პროცესების ადეკვატური გაგება და ინტერპრეტაცია შეუძლებელია იმ დისკურსების მოხელთების გარეშე, რომლებიც ამ პროცესებში იღებენ მონაწილეობას, განსაკუთრებით იმ სამყაროში, სადაც მედიის როლი ასე მძლავრობს. დისკურსულად, კულტურულად წარმოებული "სხვის" გარეშე პოლიტიკური და ეკონომიკური პრაქტიკების განხორციელება შეუძლებელი ხდება. დისკურსები სოციალურ პრაქტიკებს პოხავენ და ქმნიან სოციო-ეკონომიკური სინამდვილის არსებით კომპონენტებს, რომელთა კონცეპტუალურ აბსტრაგირებასაც ანალიტიკური მიზნებით ვახდენთ. ისინი გოდელიეს "მენტალურსა და მატერიალურს" (1984) მოგვაგონებენ - მათი გამოცალკევება შესაძლებელია, დაყოფა - შეუძლებელი.

ბიბლიოგრაფია:

Bauman, Zygmunt. 1992. Intimations of Postmodernity. London: Routledge. _____. 2004. Wasted Lives: Modernity and Its Outcasts. London: Polity Press.

Berdahl, Daphnie, Matti Bunzl and Martha Lampland (eds). 2000. Altering States: Ethnographies of Transition in Eastern Europe and the Former Soviet Union. Ann Arbor: University of Michigan Press.

Bourdieu, Pierre. 1998. 'Neo-liberalism, the Utopia (Becoming a Reality) of Unlimited Exploitation', in Acts of Resistance: Against the Tyranny of the Market. New York: New Press, pp. 94–105.

Brandtstädter, Susanne. 2007. 'Transitional Spaces: Postsocialism as a Cultural Process', Critique of Anthropology 27: 131–45.
Buchowski, Michał. 2006. 'The Specter of Orientalism in Europe: from Oriental Other to Stigmatized Brother', Anthropological Quarterly 79(3): 463–82. _____. 2012. 'Anthropology in Postsocialist Europe', in Ullrich Kockel, Máiréad Nic Craith and Jonas Frykman (eds), A Companion to the Anthropology of Europe. Oxford: Wiley-Blackwell, pp. 68–87. _____. 2017. Czyściec. Antropologia Neoliberalnego Postsocjalizmu [Purgatory: Anthropology of Neoliberal Postsocialism].
Poznań: Wydawnictwo Uniwersytetu im. Adama Mickiewicza w Poznaniu.
Buchowski, Michał, Edouard Conte and Carole Nagengast (eds). 1999. Poland Beyond Communism: 'Transition' in Critical Perspective. Fribourg: Fribourg University Press.
Burawoy, Michael, and Katherine Verdery (eds). 1991. Uncertain Transition: Ethnographies of Change in the Postsocialist World. Lanham, MD: Rowman & Littlefield. Buyandelgeriyn, Manduhai. 2008. 'Post-post-transition Theories: Walking on Multiple Paths', Annual Review of Anthropology 37: 235–50.
Cayla, David. 2019. 'The Rise of Populist Movements in Europe: A Response to European Ordoliberalism?', Journal of Economic Issues 53(2): 355–62.
Chari, Sharad, and Katherine Verdery. 2009. 'Thinking between the Posts: Postcolonialism, Postsocialism, and Ethnography after the Cold War', Comparative Studies in Society and History 51(1): 6–34.
Dunn, Elizabeth. 2004. Privatizing Poland: Baby Food, Big Business, and the Remaking of Labor. Ithaca: Cornell University Press. Ekiert, Grzegorz, and Jan Kubik. 1999. Rebellious Civil Society: Popular Protest and Democratic Consolidation in Poland, 1989–1993.
Ann Arbor: University of Michigan Press. Godelier, Maurice. 1984. L'Idéel et le Matériel: Pensée, Economies, Sociétés. Paris: Fayard.
Gramsci, Antonio. 1994. Letters from Prison (ed. by Frank Rosengarten; trans. by Raymond Rosenthal). New York: Columbia University Press.
Hann, Chris (ed.). 2002. Postsocialism: Ideals, Ideologies and Practices in Eurasia. New York: Routledge. _____. 2015. 'Backwardness Revisited: Time, Space and Civilization in Rural Eastern Europe', Comparative Studies in Society and History 54(4): 881–911. 88 Michał Buchowski _____. 2019a. Repatriating Polanyi. Market Society in the Visegrád States. Budapest: Central European University Press. _____. 2019b. 'Anthropology and Populism', Anthropology Today 35(1): 1–2.
Harvey, David. 2004. 'The "New" Imperialism: Accumulation by Dispossession', Socialist Register 40: 63–87. Hörschelmann, Kathrin, and Alison Stenning. 2008. 'Ethnographies of Postsocialist Change', Progress in Human Geography 32: 339–61.
Kalb, Don. 2018. 'Upscaling Illiberalism: Class, Contradiction, and the Rise and Rise of the Populist Right in Post-socialist Central Europe', Fudan Journal of Humanities and Social Sciences 11: 303–21.
Kürti, László, and Peter Skalník (eds). 2009. Post-Socialist Europe: Anthropological Perspectives from Home. Oxford: Berghahn Books.

Mudde, Cas, and Cristóbal Rovira Kaltwasser. 2017. Populism: A Very Short Introduction. Oxford: Oxford University Press.
Notka Informacyjna. 2016. Informacja o rozmiarach i kierunkach czasowej emigracji z Polski w latach 2004–2015 [Information about the Size and Directions of Temporary Migration from Poland, 2004–2015]. Warsaw: Główny Urząd Statystyczny. Polanyi, Karl. 2001 [1944]. The Great Transformation: The Political and Economic Origins of our Time. Boston, MA: Beacon Press. Polska. 2014.
Polska 1989–2014 [Poland 1989–2014]. Warsaw: Główny Urząd Statystyczny. _____. 2016. Polska w OECD, 1996–2016 (Poland in OECD, 1996–2016). Warsaw: Główny Urząd Statystyczny. Rydgren, Jens. 2017. 'Radical Right-Wing Parties in Europe: What's Populism Got to Do with It?', Journal of Language and Politics 16(4): 485–96. Sandecki, Maciej. 2020. 'Leszek Balcerowicz w 30. rocznicę swojego planu: Nikt nie zrobił tego lepiej' [Leszek Balcerowicz at the 30th Anniversary of His Plan: Nobody Has Done It Better], Gazeta Wyborcza, 24 January. Retrieved 7 December 2020 from https://trojmiasto.wyborcza.pl/trojmiasto/7,35612,256280 96,leszek-balcerowicz-na-30-rocznice-swojego-planu-gospodarczego.html.
Shields, Stuart. 2009. 'CEE as a New Semi-periphery: Transnational Social Forces and Poland's Transition', in Owen Worth and Phoebe Moore (eds), Globalization and the 'New' Semi-peripheries. Basingstoke: Palgrave Macmillan, pp. 159–76.
Springer, Simon, Kean Birch and Julie MacLeavy 2016. The Handbook of Neoliberalism. London: Routledge.
Stiglitz, Joseph E. 2001. 'Foreword', in Karl Polanyi 2001 [1944]. The Great Transformation: The Political and Economic Origins of our Time. Boston, MA: Beacon Press, pp. vii–xvii.
Sztompka, Piotr. 1993. 'Civilizational Incompetence: The Trap of PostCommunist Societies', Zeitschrift für Soziologie 22(2): 85–95.
Verdery, Katherine. 1996. What Was Socialism, and What Comes Next. Princeton: Princeton University Press.
Wedel, Janine. 1998. Collision and Collusion: The Strange Case of Western Aid to Eastern Europe. New York: St Martin's Griffin